

## თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი №53

ქ. თბილისი

2019 წელი, 20 ნოემბერი, 13:00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:**

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ბექა დავითულიანი, ვახტანგ შაქარიშვილი, თევდორე ისაკაძე, დავით ჭელიძე, დავით უთმელიძე, ჯაბა ჯიმკარიანი

**სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი:** გოჩა თევდორაძე, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი (03-031932427; 03-0319324275 (20.11.2019 წ)), გიორგი გაბაშვილი (03-0319325102 – 21.11.2019 წ)

**სხდომის თავმჯდომარე:** რევაზ სოხაძე

**სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:**

ვლადიმერ ჭილაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი

გაიოზ თალაკვაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი

გიორგი ებანოძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

**სხდომას ესწრებოდნენ დაინტერესებული პირები (წარმომადგენელი):**

კონსტანტინე ურუშაძე

დავით გაგნიძე

დავით ცოტნიაშვილი

ივანე მირცხულავა

გიორგი ადამია

ზურაბ კარბაძე

რევაზ ებრალიძე

თამაზ მურვანიძე

გიორგი ღვინაძე

მანუჩარ მახათაძე

ვახტანგ ჯოხაძე

დავით პაპაიძე

რომეო ესართია

ანნა გაბრიაძე

## დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ (საკრებულოს №12-0319319121-03 15.11.2019)
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) თანამდებობაზე ლევან ჯღარკავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ (საკრებულოს №12-0319318104-03 14.11.2019)
3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-031931141-03 07.11.2019; №12-031931142-03 07.11.2019)
4. ქ. თბილისში, გლდანის დასახლებაში, მიკრო/რაიონი I, ახმეტელის მეტროს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.085) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-031931219-03 08.11.2019)
5. ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 01.17.14.003.241) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 20 ოქტომბრის N1619 ბრძანებით დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-031931220-03 08.11.2019)
6. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.005.038, N01.10.18.005.050, N01.10.18.007.006, N01.10.18.006.228) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-031931221-03 08.11.2019)
7. ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქ. №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 8 ივლისის №1736 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმაში

ცვლილების შეტანის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0319312174-03 08.11.2019)

8. ქალაქ თბილისში, დილოში, დავით აღმაშენებლის ხეივანის მე-12 კმ-ზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდით: №01.72.14.013.841; №01.72.14.013.670) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03193181-03 08.11.2019)
  
9. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, მეტრო სადგურ ვარკეთილის მიმდებარედ, საკადასტრო კოდები: N01.19.36.003.085; N01.19.36.003.063; N01.19.36.003.086; N01.19.36.003.101; N01.19.36.003.096; N01.19.36.003.087; N01.19.36.003.081; N01.19.36.003.068; N01.19.36.003.093; N01.19.36.003.105; N01.19.36.003.106; N01.19.36.003.067; N01.19.36.003.066; N01.19.36.003.021; N01.19.36.003.100; N01.19.36.003.102; N01.19.36.003.028; N01.19.36.003.083; N01.19.36.003.095 (ასევე, მიმდებარედ დაურეგისტრირებელი ტერიტორია) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ (საკრებულოს №12-031932261-03 08.11.2019)

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ (საკრებულოს №12-0319319121-03 15.11.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ. მისი თქმით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის მთლიანი მოცულობა განისაზღვრა 1 020 000.0 ათას ლარით, რაც 2019 წლის თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში, რომელიც შეადგენდა 927 631.5 ათას ლარს, გაზრდილია 92 368.5 ათასი ლარით. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება: – სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა– აღდგენა 122 046.1 ათასი ლარი; – ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება 269 046.9 ათასი ლარი; – ეკოლოგიური მდგომარეობის

შენარჩუნება და გაუმჯობესება 111 348.1 ათასი ლარი; – ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა 7 127.5 ათასი ლარი; – ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება 38 296.3 ათასი ლარი; – ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 151 695.8 ათასი ლარი; – განათლება 168 559.6 ათასი ლარი; – კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა 41 835.5 ათასი ლარი; – საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 6 601.2 ათასი ლარი. – ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები 103 442.9 ათასი ლარი. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 979 569.3 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: გადასახადები 675 608.9 ათასი ლარი – დამატებული ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 470 608.9 ათას ლარს. - საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 170 000,0 ათასი ლარი (2019 წლის ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 20 000,0 ათასი ლარით); - ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი 19 000,0 ათასი ლარი; - მიწაზე ქონების გადასახადი 16 000,0 ათასი ლარი. გრანტები 100 963,0 ათასი ლარი – საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 503,0 ათასი ლარი, მათ შორის ევროკავშირის გრანტი - 493,4 ათასი ლარი ბიზნეს აქსელერატორის შექმნა მცირე და საშუალო ზომის კომპანიების მდგრადი განვითარებისათვის და როკფელერის ფონდის გრანტი - 9,6 ათასი ლარი 100 მედეგი ქალაქის ინიციატივის პროექტისათვის.; - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 460,0 ათასი ლარი; - სპეციალური ტრანსფერი - 100 000,0 ათასი ლარი. სხვა შემოსავლები 202 997,4 ათასი ლარი, მათ შორის: - შემოსავალი საკუთრებიდან – 8 600,0 ათასი ლარი; - სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 70 000,0 ათასი ლარი; - მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 48 000,0 ათასი ლარი; - სანქციები (ჯარიმები და საურავები) 51 000,0 ათასი ლარი; - სხვადასხვა შემოსავლები – 25 397,4 ათასი ლარი. ჯამში სხვა შემოსავლები 2019 წლის თავდაპიველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 12 222,6 ათასი ლარით. 3 ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ხარჯები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ხარჯები პროექტით განსაზღვრულია 735 468.4 ათას ლარით, მათ შორის: შრომის ანაზღაურება 65 980.2 ათასი ლარით. საქონელი და მომსახურების მუხლით გათვალისწინებულია 155 023,0 ათასი ლარი, პროცენტი 1 845,2 ათასი ლარი, სუბსიდიები 190 891,4 ათასი ლარი, გრანტები 449,5 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 150 273,9 ათასი ლარი, სხვა ხარჯები 171 005,3 ათასი ლარით, მათ შორის ფინანსდება ისეთი პროგრამები, როგორცაა ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა და სხვა. არაფინანსური აქტივების ცვლილება წარმოდგენილი პროექტით არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 227 166,3 ათას ლარს, მათ შორის: – არაფინანსური აქტივების ზრდა – 267 166,3 ათასი ლარი. – არაფინანსური აქტივების კლება – 40 000,0 ათასი ლარი. ფინანსური აქტივების ცვლილება ფინანსური აქტივების ცვლილება (430,7) ათასი ლარი; –ფინანსური აქტივების კლება – 430,7 ათასი ლარი. ვალდებულებების ცვლილება 2020 წლისათვის ვალდებულებების ცვლილება (17 365,3) ათასი ლარი, რომელიც მთლიანად

ვალდებულებების კლებას შეადგენს. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 4 2020 წლისათვის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 16 934,6 ათას ლარით, რაც ნიშნავს რომ ქ. თბილისის 2020 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 1 020 000.0 ათას ლარს. 2019 წლის ბიუჯეტით დედაქალაქის პრიორიტეტები განისაზღვრა: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და განვითარება - 122 046,1 ათასი ლარით. პრიორიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლაშეკეთების პროგრამისათვის გათვალისწინებულია 92 187,6 ათასი ლარი, მათ შორის რაიონების გზების მოვლა-შეკეთების ქვეპროგრამებისთვის ჯამში - 44 087,6 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 1105,7 ათასი კვმ გზების კაპიტალური და 693.2 ათასი კვმ გზების მიმდინარე შეკეთება. ტრანსპორტის განვითარების პროგრამა - 29 858,5 ათასი ლარი, მათ შორის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებისათვის - 17 258,5 ათასი ლარი და საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციისათვის - 12 600,0 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 269 046,9 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში ქალაქის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში - 95 943,5 ათასი ლარი, გაგრძელდება უკვე დაწყებული პროექტების დაფინანსება, როგორცაა ისტორიულკულტურული ძეგლების, სადარბაზოებისა და მუზეუმების რეაბილიტაცია. გუდიაშვილი, თაბუკაშვილი, ფურცელაძის ქუჩების რეაბილიტაცია. ასევე, პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა ავარიული შენობების გამაგრება 15 000,0 ათას ლარის ოდენობით, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სავარაუდოდ 15 შენობის გამაგრება; საინჟინრო ნაგებობების 5 და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია 45 414,1 ათასი ლარი, მათ შორის სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების მოწყობარეკონსტრუქცია, სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობა რეაბილიტაცია 5 403,3 ათასი ლარი, ხიდებისა და გვირაბების მოწყობა-რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებულია 24 603,1 ათასი ლარი, საყრდენი კედლების მშენებლობა რეკონსტრუქცია 5 107,7 ათასი ლარი და სხვა. პროგრამა გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია - 22 000,0 ათასი ლარი, რომლიც ფარგლებშიც გათვალისწინებულია ქ. თბილისის მასშტაბით გარე ქსელის განვითარება 2,0 მლნ ლარის ოდენობით. ქვეპროგრამისათვის კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში გათვალისწინებულია 60 229,2 ათასი ლარი, მათ შორის, გლდანის რაიონში 7 069,9 თასი ლარი, ნაძალადევის რაიონში 5 408,1 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში 6 265,8 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში 4 637,6 ათასი ლარი, ვაკის რაიონში 5 844,7 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში 7 457,7 ათასი ლარი, ისნის რაიონში 5 863,2 ათასი ლარი, სამგორის რაიონში 6 820,7 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში 5 333,7 ათასი ლარი და მთაწმინდის რაიონში 5 527,8 ათასი ლარი. ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება 111 348,1v ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში გამწვანების ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 43

056,1 ათასი ლარი, მათ შორის ახალი სკვერების მოწყობარეაბილიტაცია 15 126,3 ათასი ლარი, მცენარეთა შესყიდვა-დარგვა 9 000,0 ათასი ლარი, ეკოსერვისის ფუნქციონირების ხარჯები 10 000,0 ათასი ლარი. დასუფთავების ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 62 000,0 ათასი ლარი, მათ შორის სხვადასხვა ზომის ნაგავშემკრები კონტეინერების შეძენა 3 000,0 ათასი ლარი, მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე პირველი და მეორე უჯრედის შეფუთვაკონსერვაციისა და გაზის შეკრების, უტილიზაციისა და ღირებულ პროდუქტად გარდაქმნისათვის საჭირო ღონისძიებებისათვის 8 000,0 ათასი ლარი. თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა 6 292,0 ათასი ლარი. 6 ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა 7 127,5 ათასი ლარით.v პრიორიტეტის ფარგლებში გრძელდება პროგრამა ბიზნესის სტიმულირება, რომლისთვისაც გათვალისწინებულია 1561,5 ათასი ლარი, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები 250,0 ათასი ლარი, თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში 116,1 ათასი ლარი, მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა 1060,0 ათასი ლარი, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა 610,0 ათასი ლარი, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია 385,0 ათასი ლარი, ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავება 3 145,0 ათასი ლარი. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება 38 296,3 ათასი ლარი, მათv შორის გლდანის რაიონში - 4 000,0 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონში - 3 000,0 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში - 3 259,0 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში - 4 000,0 ათასი ლარი, ვაკის რაიონში - 4 000,0 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში - 3 500,0 ათასი ლარი, ისნის რაიონში - 4 940,0 ათასი ლარი, სამგორის რაიონში - 5 000,0 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში - 2 567,3 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში - 4 030,0 ათასი ლარი. პრიორიტეტი ითვალისწინებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარებას, მათ აქტიურ ჩართულობას საერთო სარგებლობაში არსებული ქონების მოვლაპატრონობის საქმეში. ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების ჩატარების მიზნით, პროგრამა ითვალისწინებს ძირითადი მიმართულებების სრულად (100%-ით) დაფინანსდებას: სახურავის შესაკეთებელი სამუშაოები (წყალსაწრეტი მილები, ქანობიანი და ბრტყელი სახურავი); ლიფტის შესაკეთებელი სამუშაოები (ლიფტები და სადარბაზოს სენსორული სანათები); წითელ ხაზებში მოქცეული შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შესაკეთებელი სამუშაოები; 4 სართულამდე შენობის ან/და მისი შემადგენელი ელემენტების კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები; საერთო სარგებლობის შიდა ინფრასტრუქტურის სამუშაოები (კიბეები, აივნები, ჭიშკარი, სადარბაზო, სადარბაზოს შესასვლელის გადახურვა, სადარბაზოს კარები, თაღები და სართულშუა ნაპრალების 7 სამუშაოები); პროექტირების სამუშაოები (არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის მომსახურება) და სხვა ღონისძიებები. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 151 695,8 ათასიv ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში ჯანდაცვის პროგრამისათვის განსაზღვრულია 16 722,0 ათასი ლარი, მათ შორის გათვალისწინებულია და გრძელდება „c“ ჰეპატიტის დიაგნოსტიკის, ძუძუს კიბოს

სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების და ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამები, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება, ტრანსპლანტაცია. სოციალური დაცვის პროგრამებისთვის ჯამში გათვალისწინებულია 134 973,8 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში გრძელდება ქვეპროგრამები, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება, შშმ პირთა საკურორტო მომსახურების პროგრამა, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში, ხელოვნების სკოლებში და სპორტულ დაწესებულებებში, უფასო სასადილოებით მომსახურება რაიონებში, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები რაიონებში. პროგრამა საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მეტროთი და საბაგიროთი უფასოდ ან შეღავათით მოსარგებლე პირთა მომსახურებისათვის. სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების პროგრამა დაგეგმილია 13 527,0 ათასი ლარის ოდენობით, სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებები რაიონებში 18 810,6 ათასი ლარი, მათ შორის, გლდანის რაიონში - 2 291,8 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონში - 2 600,0 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში - 1 800,0 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში 1 600,0 ათასი ლარი, ვაკის რაიონში - 2 000,0 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში - 2 000,0 ათასი ლარი, ისნის რაიონში - 1 618,8 ათასი ლარი, სამგორის რაიონში - 2 200,0 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში - 1 200,0 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში - 1 500,0 ათასი ლარი. წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება რაიონებში - 1050,0 ათასი ლარი. 2018 წელს გაგრძელდება ქვეპროგრამები, სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება, სოციალურად დაუცველი 8 მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება, სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და სხვა. განათლება 168 559,6 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობას 144 668,9 ათასი ლარის ოდენობით, რომლის ფარგლებშიც დღეის მდგომარეობით ფინანსდება 185 საბავშვო ბაღი. 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 15 ბაღის დემონტაჟი და მშენებლობის დაწყება და გაგრძელდება ავარიული ბაღის შენობების გამაგრება. კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა 41 835,5 ათასი ლარით. 2020 წელს გაგრძელდება მუნიციპალური თეატრების დაფინანსება, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა, სპორტული ღონისძიებების დაფინანსება, წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება, პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები, მწრვთვნელთა მხარდაჭერა, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა და სხვა კულტურულ-სპორტული ღონისძიებები. პროგრამა სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ფარგლებში მულტიფუნქციური სპორტული ცენტრების მშენებლობა დიდ დილოში და ვარკეთილში. ასევე საცურაო აუზის მშენებლობა ლილოში, სპორტული ცენტრი

იმედის რეაბილიტაცია, რაგბის მოედნის მშენებლობა და სხვა. საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 6 601,2 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება პროგრამა ცხოველთა მონიტორინგი - 3 658,0 ათასი ლარით და პროგრამა თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა - 2943,2 ათასი ლარით. 9 ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები 103v 442,9 ათასი ლარით. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტით ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი განსაზღვრულია 2 500,0 ათასი ლარის ოდენობით. ასევე, პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია წინა წლებში აღებული სესხების დაფარვა, მათ შორის, მუნიციპალიური განვითარების ფონდის სესხის დაფარვა 3 336,3 ათასი ლარი და ფინანსთა სამინისტროსგან აღებული სესხის მომსახურება (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)) 15 345,7 ათასი ლარი, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება 528,5 ათასი ლარი, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი განსაზღვრულია 2 000,0 ათასი ლარის ოდენობით. გარდა ამისა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტს ახლავს ინფორმაციული ხასიათის დანართები: დანართი 1 – პროგრამული ბიუჯეტის შესახებ, რომელიც მოიცავს დეტალურ ინფორმაციას განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესახებ, დანართი 2 - კაპიტალური პროექტების შესახებ, დანართი 3 - ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების შესახებ, დანართი 4 - სხვა ხარჯების შესახებ, დანართი 5 - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შესახებ, დანართი 6 - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების მიმოხილვის შესახებ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020-2023 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული გენდერული საკითხები 2019 წლიდან ქალაქის ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახული იქნა გენდერულად ორიენტირებული მუნიციპალური ბიუჯეტის ფორმირება. აღნიშნული პოლიტიკის 10 წარმოებამ ხელი შეუწყო გენდერული საკითხების ინტეგრირებას ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებში. შესაბამისად, 2020 წლის ბიუჯეტშიც გამოყენებული იქნა თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების მექანიზმი, რომელიც გულისხმობს საბიუჯეტო პროცესში გენდერული ასპექტების ჩართვას. თბილისის ბიუჯეტის შედგენისას გენდერული ასპექტები გათვალისწინებული იქნა, როგორც შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტის დაგეგმვის ერთ-ერთი კომპონენტი. კერძოდ, გენდერული პოლიტიკა და მიდგომები ასახულია პროგრამის აღწერისა და აქტუალობის დასაბუთების ნაწილში, ხოლო სადაც შესაძლებელი იყო, პროგრამის შეფასების ერთ-ერთ ინდიკატორად გამოყოფილი იქნა გენდერული ასპექტის ინდიკატორი. პროგრამები და ქვეპროგრამები, რომლებშიც გათვალისწინებულია გენდერული ასპექტები ესენია: გზების მოვლა-შეკეთება; თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის ქვეპროგრამები; სპორტის განვითარების ხელშეწყობა,



მათ შორის მწვრთნელთა მხარდაჭერა, წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება და სხვა.

ამასთან, ყოველივე ზემოაღნიშნულის ფონზე, უდავოდ დადებითი და საზოგადოების კეთილდღეობის ამადღებაზე ორიენტირებული ბიუჯეტის პროექტის დახვეწისა და სრულყოფის მიზნით გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი:

- მიზანშეწონილად მიგვაჩნია წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულ იქნას ქალაქის ცენტრალური უბნების მსგავსად გარეუბნების სოციალური პროექტების, ინფრასტრუქტურული და კეთილმოწყობის პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოების თანაბარი დაფინანსება.

-მოგესხენებათ, თბილისის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი დედაქალაქში შექმნილი მძიმე ეკოლოგიური პრობლემების აღმოფხვრაა, რაც ბიუჯეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი უნდა იყოს. ამიტომ მართებულია გამწვანების ღონისძიებებისთვის ბიუჯეტის გაზრდა, რათა გაჩნდეს მეტი ახალი რეკრეაციული სივრცე და რეაბილიტირდეს არსებული. ამასთან საჭიროა გაეზარდოს დაფინანსება შ.პ.ს. „ეკოსერვის ჯგუფს“, რაც უნდა აისახოს ტექნიკური მუშახელისთვის ხელფასების ზრდაში.

-ასევე მიზანშეწონილია რაიონის გამგეობების პროპორციული დაფინანსება, მათი ტერიტორიების და მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების 72-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი“, გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით გადასამუშავებლად დაუბრუნდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) თანამდებობაზე ლევან ჯღარკავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ (საკრებულოს №12-0319318104-03 14.11.2019)

კომისიამ განიხილა ლევან ჯღარკავას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის თანამდებობაზე არჩევის შესახებ. საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა ვლადიმერ ჭილაძემ. მისივე თქმით, ზ/აღნიშნულ თანამდებობაზე დასანიშნად

წარმოდგენილი პირი გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციითა და შესაბამისი სამუშაო გამოცდილებით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, თბილისის საკრებულოს უფლებამოსილებას, ამ კანონით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების გარდა, აგრეთვე განეკუთვნება - „დადგენილი წესით თბილისის მთავრობის წევრის თანამდებობაზე დანიშვნაზე თანხმობის მიცემა“, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საკითხი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) თანამდებობაზე ლევან ჯღარკავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ მომზადებულია და თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უნდა იმსჯელოს უახლოეს სხდომაზე.

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-031931141-03 07.11.2019; №12-031931142-03 07.11.2019)

კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის წერილებით (საკრებულოს №12-031931141-03 07.11.2019; №12-031931142-03 07.11.2019) წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ბატონმა ჯუბა ყანდარელმა. მისი თქმით, წარმოდგენილი წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის ტექსტურ ნაწილში, გრაფიკულ ნაწილში-რუკაში (ა პუნქტით დამტკიცებული) მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 30 წინადადება კერძოდ:

#### **12-031931141-03**

ა) 2019 წლის 4 სექტემბრის N10/01192472005-67 განცხადება - ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.007.706, N01.72.14.007.705, N01.72.14.007.704, N01.72.14.007.703, N01.72.14.007.702, N01.72.14.007.701) სარეკრეაციო ზონა 1- ის (რზ-1) საცხოვრებელ ზონა 2-ით (სზ-2)ცვლილება. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი N1.8) შემოთავაზებული

სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) კორექტირება და საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) გავრცელება (ცვლილების ფართობი: 3 907 კვ.მ);

ბ) 2019 წლის 29 მარტის N19/01190883370-67 განცხადება - ქალაქ თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.35.006.066, N01.19.35.006.070) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი N1.8) შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) კორექტირება და საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) გავრცელება (ცვლილების ფართობი: 6 110 კვ.მ);

გ) 2019 წლის 18 ივლისის N19/01191992470-67 განცხადება - ქალაქ თბილისში, სოფელ დილოში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.027.387) სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით, ფუნქციური ზონის ცვლილება მიმდებარედ არსებულ საკადასტრო ერთეულებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.027.128, N01.72.14.027.386). დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი N1.8) შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ცვლილება და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) გავრცელება (ცვლილების ფართობი: 8 946 კვ.მ);

დ) 2019 წლის 2 აგვისტოს N10/01192143762-67 განცხადება - ქალაქ თბილისში, დასახლება მუხიანი, მიკრო/რაიონი IV, რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარეს არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.17.005.109) ნაწილზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი N1.8) შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ცვლილება და ძირითადი რუკით (დანართი N1) განსაზღვრული ზოგადი საცხოვრებელი ზონის (სზ) გავრცელება (ცვლილების ფართობი: 13 924 კვ.მ). კომისიის სხდომაზე მითითებული ტერიტორიის ფუნქციური ზონის ცვლილება გადადებულ იქნა, მოთხოვნილ იქნა დამატებითი დასაბუთება განსახორციელებელი ცვლილების მიზანშეწონილობის შესახებ.

ე) 2019 წლის 12 სექტემბრის N10/01192553008-67 განცხადება - ქალაქ თბილისში, იპოლიტ - ივანოვის ქუჩა N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.318) შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალის ცვლილება და მასზე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ძირითადი რუკით განსაზღვრული ზონირების - სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) გავრცელება (ცვლილების ფართობი: 3 507 კვ.მ);

ვ) 2019 წლის 14 აგვისტოს N19/0119226724-67 განცხადება - ქალაქ თბილისში, გ. ჭყონდიდელის ქუჩა N22-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.12.024.198) ნაწილზე შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალის ცვლილება და მასზე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ძირითადი რუკით განსაზღვრული ზონირების - საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) გავრცელება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით მიმდებარე საკადასტრო ერთეულის ნაწილზეც (საკადასტრო კოდი: N01.12.12.024.199) ხორციელდება შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალის ცვლილება (ცვლილების ფართობი: 836 კვ.მ);

ზ) 2019 წლის 5 აგვისტოს N19/01192172854-67 განცხადება - ქალაქ თბილისში, კიბალჩიხის ხევი N32-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.16.06.063.079) დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი N1.8) შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ცვლილება და ძირითადი რუკით (დანართი N1) განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) გავრცელება (საერთო ფართობი: 954 კვ.მ);

თ) 2019 წლის 29 მაისის N19/01191491172-67 განცხადება - ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორი, სოფელ კიკეთში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.01.02.698) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით ფუნქციური ზონის ცვლილება (სატყეო ზონისა და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1)) ხორციელდება მიმდებარედ არსებულ საკადასტრო ერთეულებზეც (საკადასტრო კოდი: N81.01.02.409, N81.01.02.427, N81.01.02.699). ასევე, ცვლილებას ექვემდებარება დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი N1.8) შემოთავაზებული სატყეო ზონაც (ცვლილების ფართობი: 75 228 კვ.მ);

ი) 2019 წლის 24 აპრილის N19/01191141816-67 განცხადება - ქალაქ თბილისში, 31-ე საავიაციო ქარხნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.33.019.112) სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სამრეწველო ზონა 2-ით ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით ფუნქციური ზონის ცვლილება (სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2)) ხორციელდება N01.19.33.019.112 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე. ცვლილებას ექვემდებარება დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი N1.8) შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-იც (რზ-2) (ცვლილების ფართობი: 47 111 კვ.მ);

კ) 2019 წლის 1 აპრილის N14-0119091182-67 განცხადება - ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორი, სოფელ კიკეთში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.01.01.740, N81.01.01.359) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი N1.8) შემოთავაზებული სატყეო ზონაც (ცვლილების ფართობი: 967 კვ.მ)

ლ) 2019 წლის 8 ივლისის 17-0119189635-67 განცხადება - ქალაქ თბილისში, ი. ჭავჭავაძის ქ. N75- ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, გამზირი ჭავჭავაძე N75-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.07.005.037) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 2-ით (სპეცზ -2) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი N1.8) შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-იც (რზ-2) (ცვლილების ფართობი: 1433 კვ.მ);

მ) 2019 წლის 31 მაისის N17-01191512846-67 განცხადება - ქალაქ თბილისში, ორთაჭალის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.012.114) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით ფუნქციური ზონის ცვლილება (სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2)) ხორციელდება მომიჯნავედ არსებულ საკადასტრო ერთეულებზეც (საკადასტრო კოდი: N01.18.06.012.094, N01.18.06.012.053). ასევე, ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი N1.8) შემოთავაზებული სატყეო ზონაც (ცვლილების ფართობი: 2 460 კვ.მ);

ნ) 2019 წლის 19 ივნისის N61-01191701273-67 განცხადება - ქალაქ თბილისში, თამაზ ძიძიგურის ქუჩა N24-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.006.390) სარეკრეაციო ზონის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2). ასევე, ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონაც (რზ) (ცვლილების ფართობი: 1 178 კვ.მ);

ო) 2019 წლის 12 ივლისის N19/01191931738-67 განცხადება - ქალაქ თბილისში, მარნეულის ქუჩა N44-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.12.011.116) სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება ასევე გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-იც (რზ-1) (ცვლილების ფართობი: 17 648 კვ.მ);

პ) 2019 წლის 16 ივლისის N19/01191971452-01 განცხადება - ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.047.201, N01.72.14.047.202) სატყეო ზონისა და სარეკრეაციო ზონის (რზ) სპეციალური ზონა 2-ით (სპეც-2) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება ასევე გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონაც (ცვლილების ფართობი: 3 486 კვ.მ);

ქ) 2019 წლის 19 ივლისის N19/01192001303-67 განცხადება - ქალაქ თბილისში, შატბერაშვილის II ჩიხი N10-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.064.048) ნაწილზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება ასევე გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონაც (ცვლილების ფართობი: 88 კვ.მ);

რ) 2019 წლის 19 ივლისის N19/01192003342-01 განცხადება - ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება, მიკრო/რაიონი IV, III რიგში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.10.004.001) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალტიეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით ხორციელდება მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება ასევე გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-იც (რზ-2) (ცვლილების ფართობი: 25 758 კვ.მ);

ს) 2019 წლის 29 მარტის N19/01190883787-67 განცხადება - ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩის შესახვევი N14 ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.09.003.042) სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება ასევე გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონაც (ცვლილების ფართობი: 515 კვ.მ). კომისიის სხდომაზე მითითებული ტერიტორიის ფუნქციური ზონის ცვლილება გადადებულ იქნა, მოთხოვნილ იქნა დამატებითი დასაბუთება განსახორციელებელი ცვლილების მიზანშეწონილობის შესახებ.

ტ) 2019 წლის 17 აპრილის N19/01191072141-67 განცხადება - ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.03.12.428) სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება ასევე გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონაც (ცვლილების ფართობი: 1 799 კვ.მ). კომისიის სხდომაზე მითითებული ტერიტორიის ფუნქციური ზონის ცვლილება გადადებულ იქნა, მოთხოვნილ იქნა დამატებითი დასაბუთება განსახორციელებელი ცვლილების მიზანშეწონილობის შესახებ.

უ) 2019 წლის 29 მარტის N19/0119088948-67 განცხადება - ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.108.071, N01.20.01.108.072) სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება ასევე გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონაც (ცვლილების ფართობი: 523 კვ.მ);

ფ) 2019 წლის 9 ივლისის N19/0119190624-67 განცხადება - ქალაქ თბილისში, ა. ემუხვარის ქ. N22- ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.019.040) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით ფუნქციური ზონის ცვლილება (სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონით) ხორციელდება საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე. ცვლილებას ექვემდებარება ასევე გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონაც (ცვლილების ფართობი: 5 003 კვ.მ). კომისიის სხდომაზე მითითებული ტერიტორიის ფუნქციური ზონის ცვლილება გადადებულ იქნა, მოთხოვნილ იქნა დამატებითი დასაბუთება განსახორციელებელი ცვლილების მიზანშეწონილობის შესახებ.

ქ) 2019 წლის 27 ივნისის N10/01191781984-67 განცხადება - ქალაქ თბილისში, ბაგების ტერიტორიაზე მდებარე N01.14.06.007.042 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება ასევე გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონაც (ცვლილების ფართობი: 254 კვ.მ);

ღ) 2018 წლის 22 აგვისტოს N19-01182342146-67 განცხადება - ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო ტერიტორიაზე არსებულ N01.14.09.008.230 N01.20.01.010.270 და სხვა საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი N1.8) შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ცვლილება და ძირითადი რუკით (დანართი N1) განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) გავრცელება. განცხადებაში მითითებული საკადასტრო ერთეულების ნაწილზე არ ვრცელდება გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა, ხოლო ნაწილზე როგორც ძირითადი ისე გამწვანებული ტერიტორიების რუკის მიხედვით, განსაზღვრულია სატყეო ზონა. გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი N1.8) შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ცვლილება და ძირითადი რუკით (დანართი N1) განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) გავრცელება დასაშვებია განცხადებით მოთხოვნილ N01.14.09.008.230 და N01.14.09.008.355 საკადასტრო ერთეულებზე, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ზონის ცვლილება ხორციელდება N01.14.09.008.082, N01.14.09.008.083, N01.14.09.008.354, N01.14.09.008.359, N01.14.09.008.238 და N01.14.09.008.381, 01.14.09.008.140 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე (ცვლილების ფართობი: 5 065 კვ.მ);

ყ) 2019 წლის 28 მარტის N19-0119087792-67 განცხადება - ქალაქ თბილისში, კიკეთში არსებულ N81.01.13.121 და N81.01.00.156 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გამწვანებული

ტერიტორიების რუკით (დანართი N1.8) შემოთავაზებული სატყეო ზონის ცვლილება და ძირითადი რუკით (დანართი N1) განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) გავრცელება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით ხორციელდება მიმდებარე საკადასტრო ერთეულებზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი N1.8) შემოთავაზებული სატყეო ზონის ცვლილება და ძირითადი რუკით (დანართი N1) განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) გავრცელება (საერთო ფართობი: 4 045 კვ.მ);

შ) 2019 წლის 17 აპრილის N19-01191072768 განცხადება - ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.046.463, N01.72.14.046.319) სარეკრეაციო ზონის სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი N1.8) შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონაც. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით ხორციელდება N01.72.14.046.465 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი N1.8) შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონის 3-ის (რზ-3) ცვლილება და ძირითადი რუკით შემოთავაზებული სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) გავრცელება (ცვლილების ფართობი: 8 547 კვ.მ);

### **12-031931142-03**

ა) ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში, იოსებ მანსვეტაშვილის ქუჩა, N3ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.02.10.850) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე თანდართული რუკის ხარვეზს. რეალურად, სატრანსპორტო ზონა ვრცელდება საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე. შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება, არსებული ხარვეზის გასწორება და შესაბამისობაში მოყვანა. აგრეთვე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით სატრანსპორტო ზონის (ტზ-1) მოწესრიგების და გზის ლოგიკური კონტურის შეკვრის მიზნით, ხორციელდება მიმდებარედ არსებული საკადასტრო ერთეულის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N81.02.10.411-ნაწილზე) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთის ნაწილზე საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1). სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება, აღნიშნულს ადასტურებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური 2019 წლის 28 ოქტომბრის N01193014345 წერილით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში, იოსებ მანსვეტაშვილის ქუჩა N3ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 81.02.10.850) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია. აგრეთვე მიმდებარედ



არსებული საკადასტრო ერთეულის (საკადასტრო კოდი: N81.02.10.411-ნაწილზე) დადაურეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე საცხოვრებელი ზონა1-ის (სზ-1)სატრანსპორტო ზონა1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია

ბ) ქალაქ თბილისში ხეხილსანერგე მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.21.10.214) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა2-ით (სზ-2)ცვლილება.წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე თანდართული რუკის ხარვეზს. რეალურად, სატრანსპორტო ზონა ვრცელდება საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება, არსებული ხარვეზის გასწორება და შესაბამისობაში მოყვანა. აღნიშნულს ადასტურებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური 2019 წლის 28 ოქტომბრის N01193014340 წერილით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში ხეხილსანერგე მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.21.10.214) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა2-ით (სზ-2) ცვლილება მისაღებია;

გ) 2019 წლის 10 ოქტომბრის N01192531062-67 განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ თბილისში დემეტრე თავდადებულის ქუჩა N 38-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.07.007.046) ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. „ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N38-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.007.046, ფართობი: 26 973კვ.მ) და მიმდებარე ტერიტორიაზე საერთო ფართობით 26 973 კვ.მ განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 18 ოქტომბრის N334 განკარგულება ადგენს ფუნქციური ზონებს და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. შესაბამისად, ამავე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ქალაქ თბილისში დემეტრე თავდადებულის ქუჩა, N 38-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.07.007.046) ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისადმისაღებია;

დ) ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N33-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.01.022.198) მოთხოვნილია ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ)საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ით (სსზ-3) ცვლილება. ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეწონილად მიაჩნია საპროექტო მიწის ნაკვეთზე ახალი მშენებლობის უფლების გარეშე.

კომისიის სხდომაზე მითითებული ტერიტორიის ფუნქციური ზონის ცვლილება მიუღებლად იქნა მიჩნეული და უარი ეთქვა ცვლილებას. აღნიშნულ საკითხზე არსებობს დასახლების მოქალაქეთა (ა. გაბრიაძე) საჩივრები.

ე) ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.003.052, N01.14.06.003.030) მოთხოვნილია სატყეო ზონის სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება. წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატყეო ზონის არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე თანდართული რუკის ხარვეზს. რეალურად, სატყეო ზონა ვრცელდება „უნივერსიტეტის კომპლექსი-სტუდენტალაქი ბაგები“-ს სამგზავროკიდული ბაგირგზაზე. იგეგმება სანიტარული კვანძის მოწყობა. შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება, არსებული ხარვეზის გასწორება და ფაქტობრივ მდოგმარეობასთან შესაბამისობაში მოყვანა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.003.052, N01.14.06.003.030) სატყეო ზონის სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონაც.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

4. ქ. თბილისში, გლდანის დასახლებაში, მიკრო/რაიონი I, ახმეტელის მეტროს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.085) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-031931219-03 08.11.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ბატონმა ჯუბა ყანდარელმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს 2019 წლის 15 თებერვალს N01190464301-67 (NN01191024619-67; 01192002956-67; 01192322477-67; 01192683258-67; 011929230-67) განცხადებით მიმართა გიორგი ტრაპაიძემ (პ/ნ 01030036519) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, მიკრო/რაიონი I, ახმეტელის მეტროს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.085) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცება. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში,

გლდანში, ახმეტელის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე, მ. ნოზაძის ქუჩის გასწვრივ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.085). საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობია: 7 159 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), ხოლო მომიჯნავე ტერიტორიაზე ზოგადი საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა. მიწის ნაკვეთი ხასიათდება მარტივი რელიეფით, ნაკლებადაა ხე-ნარგავები, რომლებიც განთავსებულია გზის გასწვრივ. საპროექტო ტერიტორიის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების დონე დამაკმაყოფილებელია, ტერიტორიას ემსახურება მეტრო. ამავე დროს, ახალი საავტობუსე ქსელის მიმდინარე კვლევის ფარგლებში მიმდებარე ტერიტორია მოიაზრება როგორც ტრანზიტული საჯარო ტრანსპორტის დერეფანი. ამასთან, ტერიტორია უზრუნველყოფილია სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურით. წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით დაგეგმილია საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ისა (სსზ-2) და მისთვის მინიჭებული ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების უცვლელად განთავდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი, რომლის ძირითადი ფუნქციაა საცხოვრებელი, ხოლო არადომინირებულსახეობადვი განსაზღვრულია კომერციული და საოფისე. შენობა-ნაგებობა მიწის დონიდან არის 12 სართულის სიმაღლის, ასევე აქვს ორდონიანი მიწისქვეშა დახურული ავტოსადგომი. საპროექტო ტერიტორიაზე შეხვლა ხდება მ. ნოზაძის ქუჩის მხრიდან. პირველი სართული დათმობილი აქვს კომერციულ სივრცეს. მეორე და მესამე სართულზე განთავსებულია საოფისე ფართები, ხოლო დანარჩენი 9 სართული ეთმობა საცხოვრებელ ბინებს. ნაკვეთი N1-ის განვითარება ხდება(საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.085;ფართობი: 7159 კვ.მ) საზოგადოებრივ-საცხოვრებელი ზონა 2-ისთვის (სსზ-2) განსაზღვრული ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების შესაბამისად: კ-1 =0,5; კ-2 =4,6; კ-3 = 0,2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 25 ივლისის N0119206408 წერილის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების დონე დამაკმაყოფილებელია, რადგანაც ტერიტორიას ემსახურება მეტრო. ახალი საავტობუსე ქსელის მიმდინარე კვლევის ფარგლებში კი მიმდებარე ტერიტორია მოიაზრება, როგორც ტრანზიტული საჯარო ტრანსპორტის დერეფანი. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ საქვეითო ინფრასტრუქტურის დონე არ არის დამაკმაყოფილებელი. აღსანიშნავია, რომ საქვეითო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მერიის სატრანსპორტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია, აქედან გამომდინარე, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, რეკომენდებულია, ტროტუარის და საქვეითე გადასასვლელების მოწყობა.საგზაო ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, ზოგიერთ მიმდებარე კვანძზე შეინიშნება გადატვირთულობა. საზოგადოებრივი ტრანსპორტის და საქვეითო მისაწვდომობისგაუმჯობესება შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის მნიშვნელოვნად

გაზრდას. შესაბამისად, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალების დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 21 ოქტომბრის N01192943885 წერილის შესაბამისად, წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით სამსახურს შენიშვნები არ გააჩნია და კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. წარმოდგენილ ისაპროექტო წინადადებით ტერიტორია ვითარდება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის შესაბამისად დადგენილი ფუნქციური ზონის, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) მიხედვით და ასევე მისთვის დაგეგმილი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების უცვლელად. ტერიტორია უზრუნველყოფილია სატრანსპორტო, საინჟინრო, ინფრასტრუქტურითა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიწოდებით. ამასთან, არ ირღვევა არსებული განაშენიანების სტრუქტურა და მისი მახასიათებლები. შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცება ტერიტორიის რაციონალური და ეფექტური გამოყენების თვალსაზრისით შესაძლებელია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისში, გლდანის დასახლებაში, მიკრო/რაიონი I, ახმეტელის მეტროს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.085) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების საკითხი (საქმე №12-031931219-03 08.11.2019წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ელექტრონულ გვერდზე [www.urban.tbilisi.gov.ge](http://www.urban.tbilisi.gov.ge) რეგისტრირებული განაცხადი N01190464301-67 (NN01191024619-67; 01192002956-67; 01192322477-67; 01192683258-67; 011929230-67) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

5. ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 01.17.14.003.241) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 20 ოქტომბრის N1619 ბრძანებით დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-031931220-03 08.11.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ბატონმა ჯუბა

ყანდარელმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს 2019 წლის 28 მაისს N01191483263-67 (0119280774-67 - 07.10.2019, 01192911-67 - 18.10.2019) განცხადებით მიმართა ბესიკ ჯიქურაულმა (პ/ნ 01002007063) და მოითხოვა „ქ თბილისში, ისანი - სამგორის რაიონში ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 01.17.14.003.241 ) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 20 ოქტომბრის N1619 ბრძანებით დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანა. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე. (საკადასტრო კოდი: NN 01.17.14.003.502; 01.17.14.003.534; 01.17.14.003.536; 01.17.14.003.525; 01.17.14.003.517; 01.17.14.003.483; 01.17.14.003.523; 01.17.14.003.482; 01.17.14.003.481; 01.17.14.003.514; 01.17.14.003.518; 01.17.14.003.507; 01.17.14.003.495; 01.17.14.003.496; 01.17.14.003.528; 01.17.14.003.504; 01.17.14.003.530; 01.17.14.003.529; 01.17.14.003.489; 01.17.14.003.499; 01.17.14.003.532; 01.17.14.003.497; 01.17.14.003.531; 01.17.14.003.491; 01.17.14.003.526; 01.17.14.003.492; 01.17.14.003.519; 01.17.14.003.494; 01.17.14.003.503; 01.17.14.003.511; 01.17.14.003.505; 01.17.14.003.490; 01.17.14.003.527; 01.17.14.003.493; 01.17.14.003.506; 01.17.14.003.522; 01.17.14.003.512; 01.17.14.003.515; 01.17.14.003.513; 01.17.14.003.479; 01.17.14.003.480; 01.17.14.003.484; 01.17.14.003.498; 01.17.14.003.500; 01.17.14.003.520; 01.17.14.003.501; 01.17.14.003.533; 01.17.14.003.508; 01.17.14.003.509; 01.17.14.003.521; 01.17.14.003.535; 01.17.14.003.537; 01.17.14.003.475; 01.17.14.003.478; 01.17.14.003.476; 01.17.14.003.473; 01.17.14.003.474; 01.17.14.003.477; 01.17.14.003.472; 01.17.14.003.471; 01.17.14.003.488; 01.17.14.003.486; 01.17.14.003.487; 01.17.14.004.002; 01.17.14.003.524; 01.17.14.003.485; 01.17.14.004.007; 01.17.14.004.008; 01.17.14.004.009; 01.17.14.003.510; 01.17.14.003.516;), საერთო საორიენტაციო ფართობი შეადგენს 361 942 მ<sup>2</sup> - ს. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) საპროექტო ტერიტორიაზე (200000.0 კვ.მ) 2011 წლის 10 ოქტომბერს N1619 გაიცა მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. 2012 წლის 2 აპრილს №110494 ბრძანებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, რომლის მიხედვითაც 200000.0 კვ.მ-ზე ჯამურად განისაზღვრა კ-1=0,3; კ-2=2,9; კ-3=0,3; ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 15 აპრილით N693 განკარგულებით დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმაში შევიდა მცირედი ცვლილება, რომლითაც არ შეცვლილა საპროექტო არეალი და არც ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N87 განკარგულებით დამტკიცებულ განაშენიანების

რეგულირების გეგმის პროექტში შევიდამნიშვნელოვანი ცვლილება კერძოდ, საპროექტო არეალი გაიზარდა 350 501 კვ.მ.-ამდე შესაბამისად გაიზარდა სამშენებლო მოცულობაც, რომელიც განკუთვნილი იყო მოსაწყობი პარკის ინფრასტრუქტურისათვის. შესაბამისად განაშენიანების და განაშენიანების ინტენსივობის პარამეტრები შემცირდა  $k-1=0,2$ ;  $k-2=1,9$ ;  $k-3=0,3$ ; პარამეტრების შემცირება გამოიწვია მომატებულ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)-ის გავრცელებამ და პარკისა და მისი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილმა მცირე მოცულობებმა. უშუალოდ „დირსის“ საცხოვრებელი კომპლექსი ძირითადად მოიცავს მაღალი ინტენსივობის მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებს, რომელთა სართულიანობა მერყეობს 14-დან 27 სართულამდე. ასევე გათვალისწინებულია სოციალური ინფრასტრუქტურა. ასევე, ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით 26.09.2012 წლის ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისად, მიყიდვას ჰქონდა 15 ჰექტარზე ლანდშაფტური (დენდროლოგიური) დასვენების პარკის მოწყობის ვალდებულება. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N87 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტით განისაზღვრა შემდეგი ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6); საზოგადოებრივსაქმიანი ზონა 2 (სსზ-2); სარეკრეაციო ზონა 2(რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). საპროექტო ტერიტორიის ფართობი 350 501 მ  $k-1 = 0,2$   $k-2 = 1,9$ ,  $k-3 = 0,3$  . ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N87 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტით მკვეთრად შეიცვალა საპროექტო ტერიტორიის საზღვარი, რომელიც არ მოდის 2011 წლის 10 ოქტომბერს N1619 გაცემულ მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებასთან შესაბამისობაში. ასევე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 მაისის N134 განკარგულებით ცვლილება შევიდა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ას ჯორჯიას“ (ს/ნ: 406024270) შორის „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ 2012 წლის 6 სექტემბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში, რომლის შესაბამისადაც შეიცვალა პარკის ფართობი და 15 ჰექტარზე ლანდშაფტური (დენდროლოგიური) დასვენების პარკის მოწყობის ნაცვლად განისაზღვრა 7,5 ჰექტარზე პარკის მოწყობა. ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე მოთხოვნილია გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანა, იცვლება ტერიტორიის ფართობი, დაგეგმილი პარკის კონფიგურაცია, ფართობი რომელიც შეთანხმებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტთან. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პარკის ფართობი დაცულია (7,5 ჰა), პარკი მოწყობილია მდინარის გასწვრივ, ასევე პარკის დიდი ნაწილით არის გამიჯნული ორი არსებული და საპროექტო კომპლექსი. საპროექტო მრავალბინიან საცხოვრებელ კომპლექსს მინიჭებული აქვს საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5). არსებული „დირსის“ კომპლექსთან შედარებით გაცილებით დაბალი და სივრცით გეგმარებითად გახსნილი

განაშენიანებაა შემოთავაზებული. ზოგ სექტორშიზ-5 ის კ-2-ის (2,1) სრულად ათვისება არ ხდება. შენობების სართულიანობა მერყეობა 9-11. ხოლო მარცხენა განაპირა ზოლში ორი 15 სართულამდე შენობა-ნაგებობაა განთავსებული, რომელიც განვითარებაც შესაძლებელია როგორც საცხოვრებელი ფუნქციით ასევე ბიზნეს ცენტრად. ასევე, კომპლექსში გათვალისწინებულია საბავშვო ბაღის მშენებლობაც (დამტკიცებულ ნაწილში შეთანხმებულია ერთი სკოლა და ორი საბავშვო ბაღი და მიმდებარედ არის ორი საჯარო სკოლა და ერთი საბავშვო ბაღი), შესაბამისად საპროექტო ტერიტორია უზრუნველყოფილია სოციალური ინფრასტრუქტურით, რომლის დეტალებიც ასევე საპროექტო ტერიტორიის ფართობი დაზუსტდება განაშენიანების რეგულირების გეგმის ეტაპზე. ასევე, დაგეგმილია ელექტრომომარაგების ქსელი გადატანა, რომელიც ამჟამად კვეთს საპროექტო პარკს. დაგეგმილია საპროექტო გზის მოწყობა რომელის ნაწილიც გადადის ქონების ნაკვეთზე, რომელიც ასევე შეთანხმებულია ქონების მართვის სააგენტოსთან. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-40 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, იმობიექტებზე, რომლებზეც განაშენიანების რეგულირების წესების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის/წერილობითი დასტურის გაცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოება ან და გაცემულია მშენებლობის ნებართვა/ წერილობითი დასტური, ან დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება, ვრცელდება ანაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ირეგულირება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წინამდებარე წესები უფრო ხელსაყრელ პირობებს ითვალისწინებს და მის გამოყენებაზე მოთხოვნას აყენებს განმცხადებელი. ხოლო, მე-9 პუნქტის შესაბამისად, თუ წინამდებარე წესების ძალაში შესვლამდე დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში/განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანა გულისხმობს დამტკიცებულ საპროექტო გადაწყვეტაში არსებითად განსხვავებული ქალაქმშენებლობითი მახასიათებლების (განაშენიანებისა და განაშენიანების ინტენსივობის ზრდა, შენობა-ნაგებობების ფუნქციისა და განთავსების ცვლილება, სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზების ცვლილება და სხვა) ცვლილებას, ცვლილებები განხორციელდეს წინამდებარე წესების შესაბამისად. ამავე წესების მე-9 მუხლის მე-9 და მე-9 1 პუნქტების შესაბამისად, თუ განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანა გულისხმობს დამტკიცებულ საპროექტო გადაწყვეტაში არსებითად განსხვავებული ქალაქმშენებლობითი მახასიათებლების (განაშენიანებისა და განაშენიანების ინტენსივობის ზრდა, შენობა-ნაგებობების ფუნქციისა და განთავსების ცვლილება, სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზების ცვლილება და სხვა) ცვლილებას, განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება თბილისის მერიის გარემოს ან/და სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულების მონაწილეობით ამასთან, დამტკიცებული გეგმარებითი დავალებით ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმით

განსაზღვრული საპროექტო ტერიტორიის ფართობის დაზუსტება დასაშვებია, თუ წარმოდგენილი ფართობი არაუმეტეს 10%-ით აღემატება (მაგრამ არაუმეტეს 5000 კვ.მ) გეგმარებითი დავალებით/განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებულ პირვანდელ ფართობს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 28 ოქტომბრის 01192952979 წერილის მიხედვით, დღეისათვის, საპროექტო ტერიტორიის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების დონე არ არის დამაკმაყოფილებელი. ამავე დროს, ახალი საავტომობილე ქსელის მიმდინარე კვლევის ფარგლებში მიმდებარე ტერიტორია მოიაზრება, როგორც ტრანზიტული საჯარო ტრანსპორტის დერეფანი (კარგად შეკავშირებული, ხშირი და მაღალი მოცულობის ქსელი). აღნიშნული მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების დონეს და მომავალში შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის გაზრდას. მიმდებარე ტერიტორიაზე დამაკმაყოფილებელია- საქვეითე ინფრასტრუქტურა. საგზაო ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობის თვალსაზრისით, მიმდებარე კვანძები გადატვირთულია თუმცა, საქვეითე და საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარების შემდგომ, ქალაქის ძირითად სატრანსპორტო დერეფნების მიმდებარე განაშენიანებებში მოსალოდნელია მოდალურ განაწილებაში ინდივიდუალური მანქანით გადაადგილების წილის შემცირება. შესაბამისად, მოსალოდნელია აღნიშნული კვანძების განტვირთვა. შესაბამისად, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 17 სექტემბრის N 01192602578 წერილის შესაბამისად, სამსახური თანახმაა ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განვითარების მიზნით დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2019 წლის 9 ოქტომბრის N 61-01192813176 შესაბამისად, სააგენტოსმიერ, განხორციელდა საპროექტო გზის უფლება დაურეგისტრირებელი სივრცეების რეგისტრაცია. ასევე სერვიტუტით დაიტვირთა საპროექტო გზის კონტური. ამასთან, სააგენტო არ არის წინააღმდეგი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 01.17.14.002.202; 01.17.14.003.759; 01.17.14.003.574 და 01.17.14.002.121 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები, ჩაერთოს განაშენიანების რეგულირების გეგმაში, მათზე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით. შემოთავაზებული ცვლილებები არ ახდენს უარყოფით ზეგავლენას არსებულ და დაგეგმილ განაშენიანებაზე. შემოთავაზებულია გაცილებით დაბალი შენობა-ნაგებობები და გახსნილი სივრცით გეგმარებითი წყობა. ასევე მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით ეწყობა 7,5ჰე პარკი, ბულვარი და მისი ფუნქციონირებისათვის დამხმარე ინფრასტრუქტურა. საპროექტო კომპლექსში გათვალისწინებული დამატებით ერთი საბავშვო ბაღის მშენებლობა, ასევე პარკის ტერიტორიაზე არსებული ელექტრომომარაგების ხაზის გადატანა და საპროექტო გზის მოწყობა. შესაბამისად საპროექტო ტერიტორია სრულიად უზრუნველყოფილია



სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N87 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმაში წარმოდგენილი ცვლილებების შეტანა, რომლითაც უმჯობესდება და ყალიბდება უფრო ჯანსაღი საცხოვრებელი გარემო და ქალაქისათვის მნიშვნელოვანი სრულყოფილი საზოგადოებრივი პარკი, ბულვარი რომელიც მოიცავს 7,5 ჰექტარს და უზრუნველყოფილი იქნება მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურით. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით ახალი განაშენიანების რეგულირების გეგმის შემდგომი შეთანხმება და აუთვისებელი ტერიტორიის განვითარება უნდა განხორციელდეს მოქმედი წესების შესაბამისად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქ. თბილისში, ისანი -სამგორის რაიონში ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 01.17.14.003.241) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 20 ოქტომბრის N1619 ბრძანებით დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის საკითხი (საქმე №12- 031931220-03 08.11.2019წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ელექტრონულ გვერდზე [www.urban.tbilisi.gov.ge](http://www.urban.tbilisi.gov.ge) რეგისტრირებული განაცხადი N01191483263-67 (0119280774-67 - 07.10.2019, 01192911-67 - 18.10.2019) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

6. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: **N01.10.18.005.038, N01.10.18.005.050, N01.10.18.007.006, N01.10.18.006.228**) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-031931221-03 08.11.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ბატონმა ჯუბა ყანდარელმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს 2019 წლის 16 სექტემბერს N01192592890-67 (NN01192893-67; 01192951733-67; 01192983543-67) განცხადებით მომართა ნოდარ ადეიშვილმა (პ/ნ 01031004439) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.005.038, N01.10.18.005.050, N01.10.18.007.006, N01.10.18.006.228) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის

პროექტის დამტკიცება. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.005.038, N01.10.18.005.050, N01.10.18.007.006, N01.10.18.006.228). ტერიტორიის საერთო ფართობია 274 666 კვ.მ. საპროექტო მიწის ნაკვეთები მდებარეობს ლისის ტბასთან, „ლისივერანდას“ მიმდებარედ და წარმოადგენს რთული რელიეფის მქონე ტერიტორიას. საპროექტო ტერიტორიამდე სატრანსპორტო კავშირი ხორციელდება ვაშლიჯვრის ან ნუცუბიძის ქუჩის მხრიდან, მუხრან მაჰავარიანის ქუჩის მეშვეობით, უკვე აშენებული და მშენებარე „ლისივერანდას“ კომპლექსის გავლით. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების შესაბამისად, ტერიტორიაზე ვრცელდება შემდეგი ფუნქციური ზონები: საცხოვრებელი ზონა (სზ), საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) და სატყეო ზონა. განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი თავდასრულებულია საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), სატყეო ზონა და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ამასთან, წარმოდგენილი საპროექტო გადაწყვეტით იგეგმება 105 ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლების განთავსება. აღსანიშნავია, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთების მომიჯნავე ქვედა ტერიტორიას კვეთს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ბალანსზე არსებული 220 კვ. ელექტრო გადამცემი ხაზი „დიდუბე-3,4“, რომელსაც დადგენილი აქვს 25 მ-იანი დაცვის ზოლი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით იგეგმება აღნიშნული საინჟინრო ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია - გადატანა წარმოდგენილი ტერიტორიის ფარგლებში/მიმდებარედ. გამომდინარე აქედან, გასხვისების არეალების არსებობის შემთხვევაში, კონკრეტული არქიტექტურული პროექტების შეთანხმების ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს ქსელის სარეკონსტრუქციო ტრანსპორტია, შესაბამისი გასხვისების არეალების დატანით (გასხვისების არეალები დადგენილი უნდა იქნეს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისგან). „ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.005.038, N01.10.18.005.050, N01.10.18.007.006, N01.10.18.006.228, ფართობი: 274 666 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 16 აგვისტოს N257 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების მიხედვით, დაგეგმვის მიზანია თანამედროვე სტანდარტების მქონე, ინდივიდუალური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა. ქალაქის ეს ახალი ობიექტი იქნება თანამედროვე, უსაფრთხო და ინფრასტრუქტურულად გამართული. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 5 ნოემბრის N01193093494 წერილის მიხედვით, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა განიხილა აღნიშნული პროექტი და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება. ზეგავლენის შეფასება შეიცავს ხარვეზებს, თუმცა წარმოდგენილი კვლევის და სამუშაო მასალების (04.10.2019 N19/01193083320-16 წერილით). ასევე, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული და დაგეგმილი განაშენიანების და სატრანსპორტო და

ინფრასტრუქტურული პროექტების გათვალისწინებით, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევა განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 27 სექტემბრის N01192703580 წერილის შესაბამისად, წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით სამსახურს შენიშვნები არ გააჩნია და კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა. წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით ტერიტორიაზე იგეგმება ინდივიდუალური საცხოვრებელი კომპლექსის განთავსება სარეკრეაციო სივრცეებით, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება ყველა შესაბამისი საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევა ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.005.038, N01.10.18.005.050, N01.10.18.007.006, N01.10.18.006.228) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხი (საქმე №12-031931221-03 08.11.2019წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ელექტრონულ გვერდზე [www.urban.tbilisi.gov.ge](http://www.urban.tbilisi.gov.ge) რეგისტრირებული განაცხადი N01192592890-67 (NN01192893-67; 01192951733-67; 01192983543-67) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

7. ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქ. N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 8 ივლისის N1736 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0319312174-03 08.11.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ბატონმა ჯუბა ყანდარელმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს 2019 წლის 21 აგვისტოს N01192332052-67 (N01192622842-67) განცხადებით მიმართეს ანტონ ობოლაშვილმა და რობერტ ელოიძემ და მოითხოვეს „ქ.თბილისში, უნივერსიტეტის ქ. N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 8 ივლისის N1736 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ქავთარაძის ქუჩა N20დ-სა და უნივერსიტეტის ქუჩა N3-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: NN 01.14.03.040.356, 01.14.03.040.357, 01.14.03.040.352). საერთო ფართობი შეადგენს 6 854 კვ.მ.-ს. „დედაქალაქის

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება ზოგადი საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა. საპროექტო ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმა დამტკიცდა „ქ.თბილისში, უნივერსიტეტის ქ. N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 8 ივლისის N1736 განკარგულებით. ამის შემდგომ, პროექტის კორექტირება განხორციელდა ორჯერ: „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქ. N2-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 იანვრის N23 განკარგულებით და „ქ.თბილისში, უნივერსიტეტის ქ. N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N01.14.03.040.349, N01.14.03.040.348) განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N139 განკარგულებით. „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.03.040.333) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის პროექტის დასამუშავებლად გაცემული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N64 განკარგულებით შევიდა ცვლილება გეგმარებით დავალებაში, რის მიხედვითაც, გაიზარდა განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო არეალი და დაემატა ოფისის და საბავშვო ბაღის ფუნქცია. აღნიშნული განკარგულების საფუძველზე ამჟამად მიმდინარეობს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის კორექტირება. დამტკიცებული პროექტის მიხედვით დაგეგმილი იყო ორი მრავალბინიანი 17 სართულიანი საცხოვრებელი სახლისა და საბავშვო ბაღის მშენებლობა. ამჟამად აშენებულია მხოლოდ ერთი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით, ფუნქციური ზონირების შესაბამისად ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1). ფუნქციად კი განსაზღვრულია მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი, საბავშვო ბაღი. ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები დამტკიცებული გრგ-ს მიხედვით: სექტორი ა - 3560 კვ.მ. (სსზ-1) კ-1=0,5 1635.0 კვ.მ. 17 სართული კ-2=6,2 22200.0 კვ.მ. საცხოვრებელი კ-3=0,1 430.0 კვ.მ. კომერციული სექტორი ბ - 2705 კვ.მ. (სსზ-1) კ-1=0,5 1350.0 კვ.მ. 17 სართული კ-2=6,2 16800.0 კვ.მ. საცხოვრებელი კ-3=0,1 375.0 კვ.მ. კომერციული, საბავშვო ბაღი. N01192332052-67 (N01192622842-67) განცხადებაზე წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად, კორექტირებული პროექტით ცვლილება ეხება „ა” სექტორს, რომელსაც ემატება 2-3 სართულიანი საოფისე შენობა, რაც შეადგენს 589 კვ.მ.-ს. მრავალბინიანი საცხოვრებლის მშენებლობა უკვე დასრულებულია და კორექტირებით მას ცვლილება არ ეხება. მომატებული მიწის ნაკვეთის სამშენებლო

რესურსის მთლიანად ათვისება არ ხდება, შესაბამისად, აღნიშნულ სექტორში მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის პარამეტრები შემცირებულია 6,2-დან 5,5-მდე. საპროექტო წინადადებით, მცირედი ცვლილება შეეხო „ბ“ სექტორსაც, სადაც არსებული შეთანხმებული 17 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სიმაღლე 57 მეტრიდან გაიზარდა 59,5 მეტრამდე. აღნიშნული ცვლილებით იგეგმება პირველ სართულზე კომერციული ფუნქციისათვის მაღალი ჭერის მოწყობა. ასევე, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი ქალაქმშენებლობით პარამეტრები და სართულიანობა რჩება უცვლელი. კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმით გამოწვეული ცვლილებები სექტორების მიხედვით: ნაკვეთი N1 - 2705 კვ.მ.(სსზ-1) (ბ სექტორის ნაცვლად) კ-1=0,5 1350.0 კვ.მ. 17 სართული კ-2=6,2 16750.0 კვ.მ. საცხოვრებელი კ-3=0,1 300.0 კვ.მ. კომერციული საბავშვო ბაღი 3 სართული; ნაკვეთი N2 - 4149 კვ.მ. (სსზ-1) (ა სექტორის ნაცვლად); კ-1=0,5 1950.0 კვ.მ. 17 სართული; კ-2=5,5 22850.0 კვ.მ. საცხოვრებელი; კ-3=0,1 260.0 კვ.მ. კომერციული. გამომდინარე იქიდან, რომ განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებით არ ხდება დამტკიცებულ საპროექტო გადაწყვეტაში არსებითად განსხვავებული ქალაქმშენებლობითი მახასიათებლების ცვლილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვისა და ტრანსპორტის საქალაქო სამსახურების მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში არ განხორცილებულა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შემოთავაზებული ცვლილებები არ ახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტზე და ასევე მიმდებარედ არსებულ ჩამოყალიბებულ განაშენიანებაზე, მიზანშეწონილია „ქ.თბილისში, უნივერსიტეტის ქ. N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 8 ივლისის N1736 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მოწონება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად

8. ქალაქ თბილისში, დიღომში, დავით აღმაშენებლის ხეივანის მე-12 კმ-ზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდით: №01.72.14.013.841; №01.72.14.013.670) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03193181-03 08.11.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ბატონმა ჯუბა ყანდარელმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს 2019 წლის 25 ივლისს N01192062429-67 (NN01192672665-67; 01192982802-67; 01193023581-67) განცხადებით მომართა

ავთანდილ წერეთელმა (პ/ნ 01013007102) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, დილომში, დავით აღმაშენებლის ხეივანის მე-12 კმ-ზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.841; N01.72.14.013.670) საზოგადოებრივ-საქმიანი (საოფისე, საგამოფენო, სასაწყობე, დამხმარე, კომერციული) კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმისპროექტის დამტკიცება. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, დილომში, დავით აღმაშენებლის ხეივანის მე-12 კმ-ზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.013.841; 01.72.14.013.670). საერთო ფართობი 42 617 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). არსებული მდგომარეობით, საპროექტო და მისი მიმდებარე ტერიტორია მდებარეობს ძირითადად საზოგადოებრივი ფუნქციებით განვითარებულ, ჩამოყალიბებულ და მოწესრიგებულ განაშენიანებაში. სამშენებლო მიწის ნაკვეთების ძირითადი ნაწილი არის ხენარგავებისაგან თავისუფალი და წარმოადგენს მარტივ რელიეფს. ასევე, ტერიტორია უზრუნველყოფილია სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურით. საპროექტო წინადადებით დაგეგმილია მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე არსებული შ.პ.ს „თეგეტა მოტორსის“ სერვის ცენტრის გაფართოება, რაც გულისხმობს საოფისე, საგამოფენო, სასაწყობე, დამხმარე, კომერციული ფართების დამატებას. აგრეთვე, სამსართულიანი ძირითადი შენობა-ნაგებობებისა და 1-3 სართულიანი დამხმარე ტიპის ნაგებობების მშენებლობას. საპროექტო ტერიტორია ვითარდება მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დადგენილი საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) შესაბამისად, თუმცა დაგეგმვის მიზნებიდან გამომდინარე არ არის სრულად ათვისებული ზონისთვის მინიჭებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის (კ-2) კოეფიციენტი. ასევე, გათვალისწინებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში დაფიქსირებული მოთხოვნა: „საზოგადოებრივ-საქმიანი ზონისათვის მინიჭებული განაშენიანების ინტენსივობის (კ-2) კოეფიციენტი უნდა დაზუსტდეს გრგ-ს პროექტის ეტაპზე, მაქსიმალური (კ-2=4,6) კოეფიციენტის ათვისების უფლების გარეშე.“ სივრცით-გეგმარებითი გადაწყვეტები მორგებულია არსებულ განაშენიანებას და არ იღვევა ჩამოყალიბებული განაშენიანების სტრუქტურა. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მომიჯნავედ. შესაბამისად, მასზე ვრცელდება ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს 100 მ; 200 მ და 500 მ შეზღუდვის არეალები. წარმოდგენილი საპროექტო გადაწყვეტა არ ეწინააღმდეგება ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მოთხოვნებს, ხოლო დეტალური საკითხები, როგორებიცაა ღიობების მოწყობა, გადახურვის ტიპები და ა.შ. დაზუსტდება არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 28 ოქტომბრის N0119301857 წერილის შესაბამისად, სამსახურმა შეითანხმა აღნიშნული პროექტის საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა და შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების

წინააღმდეგი არ არის. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 9 აგვისტოს N0119221697 წერილის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ საპროექტო ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება მიზანშეწონილია წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, შენობა-ნაგებობების განთავსების არეალებისა და დადგენილი მაქსიმალური სიმაღლის დაცვით. ამასთან, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე დაცულ უნდა იქნას ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს შეზღუდვები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქალაქ თბილისში, დიღომში, დავით აღმაშენებლის ხეივანის მე-12 კმ-ზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.841; N01.72.14.013.670) საზოგადოებრივ-საქმიანი (საოფისე, საგამოფენო, სასაწყობო, დამხმარე, კომერციული) კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმისპროექტის დამტკიცება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ელექტრონულ გვერდზე [www.urban.tbilisi.gov.ge](http://www.urban.tbilisi.gov.ge) რეგისტრირებული განაცხადი N01192062429-67 (NN01192672665-67; 01192982802-67; 01193023581-67), გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

9. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, მეტრო სადგურ ვარკეთილის მიმდებარედ, საკადასტრო კოდები: N01.19.36.003.085; N01.19.36.003.063; N01.19.36.003.086; N01.19.36.003.101; N01.19.36.003.096; N01.19.36.003.087; N01.19.36.003.081; N01.19.36.003.068; N01.19.36.003.093; N01.19.36.003.105; N01.19.36.003.106; N01.19.36.003.067; N01.19.36.003.066; N01.19.36.003.021; N01.19.36.003.100; N01.19.36.003.102; N01.19.36.003.028; N01.19.36.003.083; N01.19.36.003.095 (ასევე, მიმდებარედ დაურეგისტრირებელი ტერიტორია) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტისდამტკიცების თაობაზე“ (საკრებულოს №12-031932261-03 08.11.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ბატონმა ჯუბა ყანდარელმა. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს სამგორის რაიონში, მეტრო სადგურ ვარკეთილის მიმდებარედ. წარმოადგენს 19 დამოუკიდებელ რეგისტრაციას (ფართობით: 7867 კვ.მ), ხოლო ძირითადი საპროექტო არეალი დღევანდელი მდგომარეობით ასევე, მოიცავს დაურეგისტრირებულ სივრცეს, რომლის ჯამური ფართობია 8135 კვ.მ-ს. კომპლექსში შესაბამისი თანაფარდობის დაცვით დაგეგმილია სავაჭრო, დამხმარე და საოფისე სივრცეების გაჩენა, ქვედა და მიწიპირა სართულებზე გათვალისწინებულია საპარკინგე სივრცის განვითარება. საპროექტო კომპლექსის არეალი ქანობიანია ნიშნულებს შორის სხვაობა შეადგენს 8 მეტრს

(ტოპოგრაფიული მონაცემების თანახმად ნიშნულები მერყეობს 458-450 მაჩვენებლებს შორის). „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების შესაბამისად, ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). საპროექტო წინადადებით, იგეგმება შიდაკვარტალური სივრცის გაერთიანების შედეგად შექმნილი ტერიტორიის ფარგლებში ერთი საპროექტო მოცულობის - სავაჭრო ცენტრის მშენებლობა, რომელიც დაგეგმილი ინტენსივობით ამოქმედებისთანავე, პრაქტიკულად არაკონკურენტუნარიანს გახდის გზის გაყოლებაზე არსებულ მცირე გაბარიტების მქონე სავაჭრო ობიექტებს. მითითებულ კომერციულ სივრცეებს, არ გააჩნია არანაირი ინფრასტრუქტურა და სარეზერვო ადგილი. შესაბამისად მითითებული ობიექტების ფუნქციონირების შედეგად დამატებით იტვირთება სავალი ნაწილი და ჩნდება საცობის შექმნის წინაპირობა. საპროექტო სავაჭრო ცენტრის სრულყოფილად ამოქმედებისთანავე მეორე ეტაპად დაგეგმილია გზისპირა სავაჭრო ობიექტების მფლობელებისთვის, კომპლექსის შიდა სივრცეში გადმოყვანის შეთავაზება და გზისპირა განაშენიანების დემონტაჟი სავალი ნაწილის გაფართოების მიზნით. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და მე-5 1 პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილი თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეული. ამავე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული, ხოლო ამ დადგენილებით გათვალისწინებულ შემთხვევაში - ასევე სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, ადმინისტრაციულ წარმოებაში სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სამსახურის ჩართვა სავალდებულოა: ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში; ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 11 ოქტომბრის N01192843570 წერილის შესაბამისად დღეისათვის საპროექტო ტერიტორია დამაკმაყოფილებლად




არის მომსახურებული საზოგადოებრივი ტრანსპორტით. ამავე დროს, ახალი საავტობუსე ქსელის მიმდინარე კვლევის ფარგლებში მიმდებარე ტერიტორია - ჯავახეთის ქუჩა - მოიაზრება, როგორც ტრანზიტული საჯარო ტრანსპორტის დერეფანი (კარგად შეკავშირებული, ხშირი და მაღალი მოცულობის ქსელი). აღნიშნული მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების დონეს და მომავალში შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის გაზრდას. მიმდებარე ტერიტორიაზე მოსაწესრიგებელია საქვეითე ინფრასტრუქტურა, რაც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სატრანსპორტო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. საგზაო ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობის თვალსაზრისით, მიმდებარე კვანძები გადატვირთულია თუმცა, საქვეითე და საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარების შემდგომ, ქალაქის ძირითად სატრანსპორტო დერეფნების მიმდებარე განაშენიანებებში მოსალოდნელია მოდალურ განაწილებაში ინდივიდუალური მანქანით გადაადგილების წილის შემცირება, ან მინიმუმ, არსებულ ნიშნულზე დარჩენა. შესაბამისად, მოსალოდნელია აღნიშნული კვანძების განტვირთვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური, თავის კომპეტენციის ფარგლებში, არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 10 სექტემბრის N01192532180 წერილის თანახმად, წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით სამსახურს შენიშვნები არ გააჩნია და კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, მეტრო სადგურ ვარკეთილის მიმდებარედ, საკადასტრო კოდები: N01.19.36.003.085; N01.19.36.003.063; N01.19.36.003.086; N01.19.36.003.101; N01.19.36.003.096; N01.19.36.003.087; N01.19.36.003.081; N01.19.36.003.068; N01.19.36.003.093; N01.19.36.003.105; N01.19.36.003.106; N01.19.36.003.067; N01.19.36.003.066; N01.19.36.003.021; N01.19.36.003.100; N01.19.36.003.102; N01.19.36.003.028; N01.19.36.003.083; N01.19.36.003.095 (ასევე, მიმდებარედ დაურეგისტრირებელი ტერიტორია) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ელექტრონულ გვერდზე [www.urban.tbilisi.gov.ge](http://www.urban.tbilisi.gov.ge) 2019 წლის 4 სექტემბრის რეგისტრირებული განაცხადი N01192472972-67, გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

*ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.*

სხდომის თავმჯდომარე



რევაზ სოხაძე